ნასყიდობის ხელშეკრულება №რქმ/

ქ. თბილისი **---------- 2019 წელი**

ერთის მხრივ, შპს „ჯიარ ქონების მართვა“ (ს/კ 202460103), შემდგომში – “გამყიდველი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის კობა ლაცაბიძეს სახით და მეორეს მხრივ, ---------- (პ/ს ს/კ ----------), შემდგომში – “მყიდველი“, შპს „ჯიარ ქონების მართვის“ მიერ 201----- წლის ---------- გამოცხადებული №---------- ---- ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) შედეგების საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შპს „ჯიარ ქონების მართვის“ მიერ ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) წესით სხვადასხვა სახეობის (შავი და ფერადი) ლითონის ჯართის რეალიზება.

1.2 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს რეალიზებული ქონების თაობაზე გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონის) პირობები და შესაბამის ველში განთავსებული წესები და პირობები (საჯარო ხელშეკრულება).

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ”გამყიდველი” გადასცემს ”მყიდველს” სხვადასხვა სახეობის შავი და ფერადი ლითონის ჯართს, კერძოდ:

შენიშვნა: ჯართის წონების დაზუსტება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესებით აწონვის საფუძველზე, რომლის დასაშვები ცდომილება შესაძლებელია იყოს +/-10%-ის ფარგლებში.

2.2 ”მყიდველი” საკუთრების უფლებას შეძენილ ქონებაზე იძენს ქონების სრული საფასურის გადახდისა და 5.1 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბერების აქტ(ებ)ის გაფორმების მომენტიდან.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ---------- ---------- ლარს, დღგ-ს ჩათვლით (ელექტრონულ აუქციონზე ”მყიდველის” მიერ ლოტზე დაფიქსირებული საბოლოო თანხა).

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1 ”მყიდველის” მიერ ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული თანხა, წინასწარი ანგარიშსწორებით (გადახდილი ”ბე”-ს გათვალისწინებით) ჩარიცხულია შპს „ჯიარ ქონების მართვის“ საბანკო ანგარიშზე, რაც დასტურდება საგადასახადო დავალებებით (თან ერთვის);

4.2 ”მყიდველის” მიერ გადახდილი ”ბე”-ს თანხა ჩაითვლება ქონების ფასის საბოლოო ანგარიშსწორებისას;

4.3 დადგენილი წესით ჯართის აწონვის პროცესში ნაკლებობის ან/და მეტობის აღმოჩენის შემთხვევაში, დასაბრუნებელი/დამატებით გადასახდელი თანხა 1 კგ-ზე გამოითვლება დანართი N1-ის შესაბამისად.

4.4 მხარეები ვთანხმდებით, რომ ჯართის ნაკლებობის ან/და მეტობის აღმოჩენის შემთხვევაში, ხელშეკრულების 4.3 პუნქტის შესაბამისად ასანაზღაურებელი თანხის დაბრუნება ან/და დამატებით გადახდა განხორციელდება მხარეებს შორის შედგენილი საბოლოო ურთიერთშედარების აქტის საფუძველზე. ხოლო, თუ მყიდველი უარს განაცხადებს ასეთი აქტის ხელმოწერაზე, მეორე მხარე უფლებამოსილია ქონების გატანის პროცესში შედგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ჯართის ნაკლებობის/მეტობის შესახებ და ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი თანხის დაბრუნების, გადახდის ან დაკისრების თაობაზე.

5. გაყიდული ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული საერთო ღირებულების სრულად დაფარვის და ქონების გატანის შემდეგ ”მყიდველსა” და ”გამყიდველს” შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტები, თითოეული სახეობისა და ადგილმდებარეობით არსებული ქონების მიხედვით;

5.2 ჯართის გატანასთან დაკავშირებული პროცედურების ხელშეკრულების პირობებისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებაზე და გატანის ვადების დაცვაზე ”გამყიდველია” წინაშე პასუხისმგებელია „მყიდველი“.

5.3 გატანის პროცესში „მყიდველმა“ უნდა უზრუნველყოს ჯართის აწონვა, ქონების განთავსების ტერიტორიის მიხედვით, უახლოეს სერტიფიცირებულ სასწორზე, შპს ”ჯიარ ქონების მართვის” წარმომადგენლის თანდასწრებით.

5.4 ჯართის გატანასთან დაკავშირებული პროცედურები (დატვირთვა, აწონვა, ტრანსპორტირება, საჭირო დოკუმენტაციის გაფორმება და სხვა) უნდა განხორციელდეს სამუშაო დღეებში 9^{00} საათიდან - 17^{00} საათამდე.

6. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

6.1 ”გამყიდველი” ვალდებულია ”მყიდველს” (მის წარმომადგენელს) გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტში განსაზღვრული ქონება;

6.2 ”მყიდველი” (ან/და მისი წარმომადგენელი) ხელშკეურლების ობიექტის ”გამყიდველის” ტერიტორიებიდან გატანა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან გადახდიდან არაუმეტეს 3 (სამი) თვის ვადაში;

6.3 ”მყიდველი”, ან/და მისი დავალებითა თუ მისი მინდობილობით მესამე პირი, ვალდებულია გაიღოს გაყიდული ნივთის ტრანსპორტირების, აწონვის და სხვა აუცილებელი საბუთების გაფორმების ხარჯები.

6.4 ხელშეკრულების 6.2 პუნქტის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ”მყიდველი” ვალდებულია ”გამყიდველს” გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაიტანელი ქონების საერთო ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

6.5 ქონების გატანის პროცესში მყიდველმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოების ნორმების დაცვა (მათ შორის გარემოსდაცვითი და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმების დაცვა), რომელთა დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა ეკისრება მყიდველს;

6.6 „მყიდველი“ ვალდებულია გაიტანოს შეძენილი ქონების დამუშავების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გაასუფთაოს ტერიტორია, შესაბამისი ქონების გატანიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებული იქნება მოქმედი კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.

6.7 ჯართის ტრანსპორტირებისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვაზე პასუხისმგებელია „მყიდველი“.

6.8 ქონების საქართველოს საზღვრებს გარეთ გატანის შემთხვევაში, „მყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვება/გაფორმება და დადგენილი გადასახდელების გადახდა.

7. საჯარიმო სანქციები

7.1 ხელშეკრულების 6.2 პუნქტის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ”მყიდველი” ვალდებულია ”გამყიდველს” გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გასატანი ქონების საერთო ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

7.2 ხელშეკრულების 6.6 პუნქტის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ”მყიდველი” ვალდებულია ”გამყიდველს” გადაუხადოს პირგასამტეხლო შესაბამის ტერიტორიაზე განთავსებული ქონების ღირებულების (დაითვლება პროპორციული წესით) 0,05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3 წინამდებარე ხელშეკრულების 4.4 პუნქტის საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებებზე არ ვრცელდება საჯარიმო ან სხვა სახის დამატებითი ვალდებულების გამომწვევი სანქციები.

8. დავის გადაწყვეტა

8.1 მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა მათ შორის წარმოშობილი უთანხმოება და დავა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმებით;

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სასამართლო ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

9. ხელშეკრულები მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე;

10. დასკვნითი დებულებები

10.1 ხელშეკრულებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რაც ფორმდება წერილობითი ფორმით.

10.2 მხარეთა შორის ოფიციალური ურთიერთობები (მიმოწერა, შეტყობინება, ფულადი ტრანზაქცია და სხვა) უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მე-11 პუნქტში მითითებულ რეკვიზიტებზე. ამასთან, მხარე, რომლის რეკვიზიტებიც არასწორადაა მითითებული ხელშეკრულებაში ან დამატებით შეტყობინებაში, თვითონ აგებს პასუხს დამდგარ შედეგებზე.

10.3 მხარეები ვალდებული არიან მისამართებისა და რეკვიზიტების შეცვლის თაობაზე ერთმანეთს აცნობონ დაუყოვნებლივ.

10.4 10.3 პუნქტის შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობა ეკისრება მხარეს, რომელმაც არ შეასრულა ეს ვალდებულება.

10.5 ხელშეკრულება ძალაში შედის, ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

10.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, საიადანაც ორი რჩება „გამყიდველს“, ხოლო ერთი „მყიდველს“.

10.7 წინამდებარე ხელშეკრულების დანართ(ებ)ი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

10.8 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით წერილობით ან სიტყვიერ შეთანხმებას.

მხარეთა რეკვიზიტები

”გამყიდველი”	**”მყიდველი”**
შპს „ჯიარ ქონების მართვა“	---
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15	---
ს/კ 202 460 103	---
სს ”საქართველოს ბანკი”	
ცენტრალური ფილიალი	---
ბანკის კოდი: 220101502	
ა/ა GE54BG0000000391156800	
ტელ.: 595 03 00 08	
---	---
გენერალური დირექტორი	---
კობა ლაცაბიძე	---